სექცია 3. ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამართლებრივი, პოლიტიკური და ფილოსოფიური ასპექტები

პოლიტიკური კონსალტინგის პარადიგმა (არსი და დანიშნულება)

კარლო კოპალიანი
სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, კანცლერი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პოლიტიკური კონსალტინგის არსი, ხასიათი და ფუნქციები, მის გაგებასთან დაკავშირებული ხედვა და მიდგომები. პოლიტიკური კონსალტინგის, როგორც ფენომენის განხილვა და მეცნიერული ანალიზი, აქტუალობა და მნიშვნელობა განპირობებულია დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებლობით.

მრავალი პოლიტიკური ლიდერი და ზოგადად პოლიტიკური ელიტა იყენებს თავის საქმიანობაში პოლიტიკურ კონსულტანტებს, რომელთა პროფესიონალიზმი ძალიან მოთხოვნადი გახდა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

პოლიტიკური კონსალტინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან პარადიგმასა და ფენომენს პოლიტიკურ და სოცილაურ მეცნიერებებში. იგი აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, როგორც პოლიტიკური ტექნოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

საკვნაძო ტერმინები: პოლიტიკური კონსალტინგი; პოლიტიკური კონსულტირება; პოლიტიკური კონსულტანტი.

THE PARADIGM OF POLITICAL CONSULTING (ESSENCE AND PURPOSE)

Karlo Kopaliani
Head of Administration (Chancellor), Professor of GTU

SUMMARY

The article discusses the essence, nature, and functions of political consulting, as well as the perspectives and approaches related to it`s understanding. The discussion and scientific analysis of political consulting as a phenomenon is relevant and significant due to the necessity of conducting democratic elections.

Many political leaders and the political elite in general utilize political consultants in their activities, whose professionalism has become highly sought after, especially in recent decades.

Political consulting represents an important paradigm and phenomenon in political and social sciences. It is actively used in all countries around the world, including Georgia, as one of the key elements of political technology.

Keywords: Political Consulting; Political Consultation; Political Consultant.

* * * *

დღემდე პოლიტიკურ მეცნიერებაში არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი და ცალსახოვანი განმარტება ისეთი პარადიგმისა, როგორიცაა „პოლიტიკური კონსულტირება" ანუ „პოლიტიკური კონსალტინგი".

ზოგი მკვლევარი (ამერიკელები ა.მენდელი და პ. ნელსონი) კონსალტინგს განიხილავენ როგორც პროფესიონალურ საქმიანობას რომელიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური კომპანიები ინტელექტუალური და ორგანიზაციული მომსახურებით და მაღალ ეფექტიანი ტექნოლოგიებით.

სხვა ავტორები (ინგლისელი ა. ტომპსონი) აქცენტს აკეთებენ პოლიტიკური კონსულტირების ძირითად ფუნქციებზე- პოლიტიკოსებისათვის დახმარების გაწევა მათ პოლიტიკურ მოღვაწეობის პროცესში, პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

რუსი მკვლევარები, გ.ვ. პუშკარიოვა, ა.ი. სოლოვიოვი, ი.კ.დაჩენკოვი, ა.პ.სიტნიკოვი, ი.ვ. ოგარი, ე.ვ. ზაბურდაევა,[1] თვლიან რომ პოლიტიკური კონსალტინგის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია პროფესიონალურ მონიტორინგთან , პოლიტიკური სიტუაციების აუდიტთან და ანალიზთან შესაძლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შეფასებასთან და პოლიტიკური პროცესების განხილვასთან.

ჩვენი აზრით, ყველა შემთხვევაში პოლიტიკური კონსალტინგი წარმოადგენს პროფესიონალურ საქ-

1 დაწვრილებით იხ: პოლიტიკური კონსულტირება. პოლიტიკური კონსულტირების ცენტრი , ნოსკოვი2019;- სიტნიკოვი, ა.პ.ოგარი, ი.კ.ბახვალოვა ნ.ს.

პოლიტიკური კონსალტინგი, მოსკოვი 2004; ბერიოზკინა ო.პ. პოლიტიკური კონსალტინგი . სახელმძღვანელო მინსკი,2018; ზაბურდაევა ე.ვ. პოლიტიკური კონსულტირება აშშ-ში და რუსეთში. მოსკოვი,2010 (თარგმანი რუსული ენიდან).

მიანობას - კონსულტაციების სახით პოლიტიკური მენეჯმენტის სუბიექტების, პოლიტიკოსების, პოლიტიკური ლიდერების და სხვა დაინტერესებული პირებისა.

<u>პოლიტიკური კონსალტინგი</u> (პოლიტიკური კონსულტირება) მეცნიერებაში წარმოადგენს ახალ მიმართულებას , რომელის საშუალებითაც ხდება საზოგადოების მოთხოვნილებების შესწავლა და შემდგომში მათი შედეგების გამოყენება პრაქტიკაში.

საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია, ლტოლვა თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნის ჩატარებისთვის , არჩევნებში კანდიდატთა რიცხვის მონაწილეობის ზრდამ მუნიციპალურ და სახელმწიფო დონეზე და ამომრჩეველთა ნებისა და სურვილების ღია გამოხატვის შესაძლებლობამ გამოიწვია მთელ მსოფლიოში და საქართველოში პოლიტიკური კონსალტინგის ტექნოლოგიების აქტიური განვითარება.

პოლიტიკური კონსალტინგის აქტუალობა განპირობებულია იმით,რომ მრავალი პოლიტიკური ლიდერი და ზოგადად პოლიტიკური ელიტა აქტიურად იყენებს თავის მოღვაწეობაში პოლიტიკურ კონსულტანტებს, რომელთა პროფესიონალიზმი ძალიან მოთხოვნადი გახდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

პოლიტიკური კონსალტინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ფენომენს თანამედროვე საზოგადოებაში.

იგი მოიცავს პოლიტიკური მენეჯმენტის ობიექტების საქმიანობის ფართო სფეროს განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კომპანიის ორგანიზაციისა და დაგეგმვის პროცესში. თანამედროვე პერიოდში ამ ფენომენის გამოყენების არეალი თანდათან იზრდება პოლიტიკური კონსულტანტის როლში შეიძლება ჩვენ ვიხილოთ - PR-ის სპეციალისტი, პრეს-მდივანი,იმიჯმეიკერი,პოლიტიკური მენეჯერი,მრჩეველი.

პოლიტიკური კონსულტანტი არის მრჩეველი, რომელიც შეიძლება იყოს პოლიტიკური ლიდერის სრყლუფლებიანი პარტნიორი პოლიტიკური საარჩევნო კომპანიის დროს. ამ შემთხვევაში პარტნიორული სტატუსი უკავშირდება მის პირად დაინტერესებას ძირითადი მიზნის მიღწევაში გამარჯვება არჩევნებში.

პოლიტიკური კონსულტაციის მეორე ტიპს განეკუთვნება სპეციალისტი -პროფესიონალი, რომელიც დაქირავებულის სტატუსით არის მიწვეული და არ გააჩნია პარტნიორული ინტერესები.

პოლიტიკური კონსალტინგის მასშტაბის მიხედვით შეიძლება ამ ფენომენის ორად დაყოფა-ლოკალური და გლობალური პოლიტიკური კონსალტინგი:[2].

- ლოკალური პოლიტიკური კონსალტინგის მოქმედების არეალს წარმოადგენს ზემოქმედებას პოლიტიკურ სიტუაციაზე ცალკეულ რეგიონში;

- გლობალური პოლიტიკური კონსალტინგის მოქმედების სივრცეს წარმოადგენს სახელმწიფო,მთელი საზოგადოება, რამოდენიმე სახელმწიფო და საერთაშორისო დონე.

ვიწრო გაგებით და გამოყენებით პოლიტიკური კონსალტინგი ითვალისწინებს:

- მომსახურეობისა და ღონისძიებათა მთელი კომპლექსის შემუშავებას, რომლებიც მიმართულია კლიენტის პოლიტიკური ავტორიტეტისა და იმიჯის ამაღლებაზე (ეს შეიძლება იყოსპოლიტიკური პარტიის ლიდერი, სახელმწიფო მოღვაწე. ფედერალურ, რეგიონალურ ან მუნიციპალურ დონეებზე);

- პოლიტიკური კონსულრირება, რომელიც მიმართულია ისეთი პირობებისა და მოცემულობის შექმნისათვის, რომლებიც პოლიტიკოსებს აძლევს საშუალებას ხელისუფლებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მათი გამოყენებისათვის სტრატეგიის შემუშავების და პოლიტიკური იმიჯის ამაღლებისათვის. პოლიტიკური კონსალტინგი ითვალისწინებს ღონისძიებათა ფართო მოცულობის სპექტრს.

- კლიენტის პოლიტიკური კარიერის სტრატეგია;

- პოლიტიკური და პიროვნული იმიჯის კორექტირება;

- დამქირავლების როლისებრივი ქცევის სტილის კორექცია და სხვა. პოლიტიკური კონსალტინგის უპირობო ელემენტებს წარმოადგენს:

- კლიენტის პოლიტიკური საქმიანობის ინფორმაციული -ანალიტიკური უზრუნველყოფა

- პოლიტიკოსის გუნდის პროფესიონალი თანამოაზრეებითფორმირება ,მათი იმიჯისა და ავტორიტეტის უზრუნველყოფა და სხვა. ფართო მასშტაბის პოლიტიკური საქმიანობის კონტექსტში სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დონეზე პოლიტიკური კონსალტინგი მიმართულია:

- სახელმწიფოს,რეგიონის,მუნიციპალიტეტის პოლიტიკური რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე;

- კრიზისების ,დესტრუქციული მოვლენების და პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის პრევენციაზე.

ცივილიზებული კონსულტირების ძირითად მიზანს წარმოადგენს:

- პოლიტიკური პროცესების,პოლიტიკური მენეჯმენტის დემოკრატიზაცია;

- მაღალეფექტიანი პოლიტიკური ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება;

- არჩევნებში მონაწილე ელექტორატის რეალური,თავისუფალი არჩევა კანდიდატებს შორის;

- არსებული დისტანციის შემცირება პოლიტიკოსებსა და ამომრჩევლებს შორის.

აღსანიშნავია,რომ დღესდღეობით მსოფლიოში ფუნქციონირებს პოლიტიკური კონსულტირების მთელი რიგი პროფესიონალური ასოციაცია:

- პოლიტიკურ კონსულტანტთა საერთაშო-

2 გურგენიძე ვ.პ. პოლიტიკური კონსალტინგი -განახლების პერსპექტივა საქართველოში თბ. 2020.გვ.26.

რისო ასოციაცია (The internacional association of politieal consultants),რომელიც დაფუძნებული იყო 1968 წელს და აერთიანებს 20 ქვეყანას.(იხ.: the internacional association of politieal consultants URL; http: //WWW.iapc.org: 22.09.2014)

- პოლიტიკურ კონსულტაციათა ამერიკული ასოციაცია (Amerikan Association of Political Consultants), შეიქმნა 1969 წელს (იხ.:URL; http: // WWW.theaapc.org: 22.09.2024

- - პოლიტიკურ კონსულტაციათა ევროპული ასოციაცია(Europesan Association of palitical Consultants) რომელიც შეიქმნა ქ.ვენაში 1969 წელს. (იხ: URL:WWW: 22.09.2014

- პოლიტიკური კონსულტანტთან ლათინურ-ამერიკული ასოციაცია (Asosiation Latin oamericana de Consultares Politicos), რომელიც დაფუძვნდა ბუონეს-აირესში 1996 წელს (იხ.:URI;: //WWW.alacop.net: 22.09.2024);

- რუსეთის პოლიტიკურ კონსულტანტთა ასოციაცია (РАПК),ჩამოყალიბდა 2014 წელს მოსკოვში.

პოლიტიკური კონსალტინგი როგორც პოლიტიკური და სოციალური მოვლენა შედგება ღონისძიებათა ფართო მაშშტაბიანი სპექტრისაგან.

პოლიტიკური კონსულტირება სათავეს იღებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მე XVIII საუკუნის მიწურულს.

ამერიკული პოლიტიკური კონსულტირების ასოციაციის დამფუძნებელი ჯოზეფ ნაპოლიტანი ერთ-ერთი პირველი იყო, თავს ვინც საკუთარ პოლიტიკური კონსულტანტი უწოდა. აშშ-ში 1787 წელს კონსტიტუციის რატიფიცირების შემდეგ თითქმის ყველა ამერიკელმა პოლიტიკოსმა და პოლიტიკური მენეჯმენტის ელიტამ დაიწყო პოლიტიკური კონსულტაციების მომსახურეობის გამოყენება.

საინტერესოდ მიგვაჩნია საკითხი იმის თაობაზე თუ როგორ ვითარდებოდა და ვრცელდებოდა პოლიტიკური კონსულტირების ფენომენი სხვადასხვა ქვეყნებში და რეგიონებში, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა იგი სხვა და სხვა პირობებში. მაგალითად სამხრეთ ამერიკაში პოლიტიკური კონსულტირების განვითარება დაიწყო 1960 -იანი წლებიდან და პიკს მიაღწია 80-იან წლებში, როდესაც პოლიტიკის მედიატიზაცია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა . სწორედ ამ რეგიონში მაქსიმალურად იყვნენ გააქტიურებულნი აშშ-ის პოლიტიკური კონსალტინგის პროფესიონალები.მიჩნეულია,რომ ამ რეგიონში ბრაზილია არის ლიდერი პოლიტიკური კონსალტინგის კუთხით. [3]

ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური კონსულტირების გამოყენების თვალსაზრისით ლიდერობენ ისლანდია და ნორვეგია,მათ მოსდევენ დანია,შვედეთი და ფინეთი.

დასავლეთ ევროპაში პოლიტიკური კონსულტირების ორი ძირითადი სკოლა გამოიყოფა ფრანგული და ბრიტანული. (იხ.:მელიქიძე.გ. პოლიტიკური კონსულტირება გამოიყოფა საქართველოში თბ., 2017,გვ.51). ფრანგული სკოლა საფრანგეთში მოქმედი საარჩევნო კომუნიკაციების მკაცრი რეგულირების გავლენას განიცდის და ამის გამო საარჩევნო კამპანიაში წამყვან პოზიციას პოლიტიკური მარკეტინგი იკავებს, რაც პრაქტიკულად აისახება პოლიტიკური კონსულტირების პროცესში. ''ბრიტანულ სკოლაში საარჩევნო კომუნიკაციის მთავარი მახასიათებელია მედიამანიპულაცია ანუ„სპი-ნ დოქტორი“,მისი მთავარი დანიშნულებაა კონკრეტული პარტიისთვის ხელსაყრელი დღის წესრიგის ფორმირებისთვის ბრძოლა“ (იხ.: იქვე).

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მკვლევარ გ. მელიქიძეს გერმანიაში პოლიტიკური კონსულტირების პროცესის შეფასების. ამ ქვეყანაში ძირითადი აქცენტი კეთდება პარტიათა შიდა პოლიტიკური კონსულტირების განვითარებაზე, რაც ძლიერი პარტიული სისტემებით არის განპირობებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ დასავლეთი ევროპის პოლიტიკური კონსულტირების მეთოდები, ხერხები და საშუალებები პოპულარობით სარგებლობენ, როგორც სამხრეტ აფრიკის ასე აზიის ქვეყნებში. ამაზე მეტყველებს დასავლეთ ევროპული პოლიტიკური კონსულტაციების საზღვარგარეთ პროცენტული სტატისტიკური მაჩვენებლები.[4]

- ლათინურ ამერიკის ქვეყნებში -15%
- სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში-58%
- აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში 53%
- საქართველო,უკრაინა,ბელორუსი-40%
- რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში-35%
- ოკეანეთის ქვეყნებში-10%

იტალიაში პოლიტიკური კონსალტინგის საქმიანობა ძირითადად ეყრდნობა პოლიტიკის მედიატიზაციის და პოლიტიკური ლიდერების უპირატესობას. ესპანეთში პოლიტიკური კონსულტირების პროცესში ძირითადი აქცენტები კეთდება „ამერიკანიზმის“ მეთოდსა და პროფესიონალიზაციის პრობლემატიკაზე. საბერძნეთის პოლიტიკური კონსულტანტები უპირატესობას ანიჭებენ ტრადიციულ ევროპულ მოდელს,პარტიებზე, აგებულ ორიენტაციას.

რუმინეთში პოლიტიკური კონსულტირებისას განსაკუთრებული როლი ენიჭება ტელევიზიას,სადაც შეუზღუდავად განათავსებენ საკუთარ პოლიტიკურ რეკლამას,რჩევებსა და მიდგომებს.

რუმინეთი ერთადერთი ქვეყანაა სადაც არის პარტიებზე ორიენტირებული დემოკრატია, რაც პირდაპირ აისახება პოლიტიკური კონსულტირების პროცესში.

ბულგარეთისა და ალბანეთის ქვეყნებში პოლიტიკური კონსულტირების საფუძველს წარმოადგენს ამერიკული და ბერძნული პოლიტიკური ტექნოლოგიები.

3 გურგენიძე ვ.პ. პოლიტიკური კონსალტინგი -განახლების პერსპექტივა საქართველოში თბ. 2020.გვ.49.
4 იხ.: Plasser da Plaser,2012, Global Political Campaigning.Vnited States of America P.31

იმის გამო, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების საზოგადოებებში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა ძალზე დაბალია, პოლიტიკური კონსულტაციები ძირითადად ფოკუსირებას ახდენენ პოლიტიკურ კანდიდატზე და პოლიტიკურ ლიდერზე , ეს დამახასიათებელია არა მხოლოდ საარჩევნო პროცედურებისათვის არამედ ზოგადად პოლიტიკისათვის . პოლიტიკის მიმართ ნიჰილისტური განწყობა და დამოკიდებულება,მოსახლეობაზე სატელევიზიო რეკლამის საშუალებით ნდობის და გავლენის მოპოვება და სოციალური ჯგუფების ინტერესების გამომხატველი მედიასაშუალებები რეგიონში პოლიტიკური კონსულტაციების სპეციალურ არსებულ მოდელს განაპირობებს.

პოლონეთში პოლიტიკური კონსულტირების ახალი დემოკრატიების მოდელია წარმოდგენილი. ამ ქვეყნის გამოცდილება პოლიტიკურ კონსულტირებაში აისახება სამ პერიოდში:

- მარკეტინგის პირველი გამოცდილება (1990-1994) ,რომელიც დაგროვდა უცხო ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე;
- განვითარების პერიოდი (1995-2003) , რომელსაც ახასიათებდა მასმედიის მზარდი როლი და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება;".
- „პერმანენტული კომპანიის" პერიოდი (2004-2010), რომელიც გამოირჩევა მასმედიის გაზრდილი როლით და პოლიტიკური კონსულტირების მაღალი აქტივობის მონაწილეობით. (Biskup, 2011,p 231)

2005 წლიდან პოლონეთის პოლიტიკურ კონსულტირებას. ახასიათებს კომუნიკაციათა აქტიური გამოყენება. პოლოვნური პოლიტიკური კონსალტინგი თავისი არსით და ხასიათით ეყრდნობა ამერიკული მოდელის,თუმცა ბოლო პერიოდში ამ პროცესში ვლინდება სუფთა პოლოვნური მახასიათებლელი.

ამგვარად, პოლიტიკურ კონსულტირების განვითარება დამოკიდებულია პოლიტიკური სისტემის განვითარების დონეზე, პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციაზე და საარჩევნო კომპანიების წარმოების მიხედვით არსებულ გამოცდილებაზე.

საქართველოში პოლიტიკური კონსულტირების პროფესიონალიზაცია ძირითადად სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას იზიარებს (Plasser, Plasser, 2010, p.34)

საქართველოში ისევე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პოლიტიკური კონსულტირების ხარისხისა და ეფექტურობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს პარტიული სისტემის იდეოლოგიური სისუსტე ძლიერი პოლიტიკური ლიდერების ფონზე. პოლიტიკური ლიდერები და პოლიტიკური ელიტა, როგორც წესი პარტიებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. მართებულად მიგვაჩნია დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ დღევენდელ საქართველოში არჩევნების ბედს წყვეტს ლიდერისადმი დამოკიდებულება აღნიშნული მოცემულობა ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული პოლიტიკური მენეჯმენტის საქმიანობაში და კონკრეტულად კი პოლიტიკურ კონსალტინგში.

ამ კონტექსტში საქართველოში ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური ვითარება, როდესაც ყველაზე გავლენიანი პარტიების ამოცანაა მათი ლიდერების მხარდაჭერა და ყურადღების მიღმა რჩება საჭირო იდეოლოგიის ,ღირებულებისა და მიდგომების ჩამოყალიბება

ჩვენ ვიზიარებთ პოლიტიკური კონსულტანტების მართებულ მოსაზრებას, რომ საქართველოში საარჩევნო კომპანიის პროცესში იდეოლოგიას უმნიშვნელო როლი ენიჭება (იხ.: გურგენიძე ვ. პოლიტიკურური სისტემა 2020,გვ.152).

საქართველოში პოლიტიკური კონსულტირების პროცესი პირდაპირ არის დაკავშირებული ისეთ პოლიტიკურ რეალობასთან, როგორიცაა:

- საზოგადოებაში პარტიების ჩამოყალიბება პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის ელიტის ინტერესებს ემსახურება;
- პოლიტიკური სისტემა საქართველოში ვერ ასრულებს მედიატორის როლს საზოგადოებისა და სახელმწიფოს შორის;
- ქვეყანაში ყველაზე გავლენიანი პარტიების ამოცანას წარმოადგენს მაღი ლიდერების მხარდაჭერა;
- დანაწევრებული მრავალპარტიული სისტემა ხელის უწყობს ამომრჩეველსა და პარტიებს შორის კავშირის შესუსტებას, უნდობლობასა და ნიპილიზმს;
- საქართველოში პოლიტიკური პარტიები ასოცირდება უფრო მეტად ლიდერებთან, ვიდრე საარჩევნო პროგრამასთან და ეროვნულ იდეოლოგიასთან;
- საქართველოში პოლიტიკურ ძალებს არ გააჩნიათ სტაბილურობის განცდა და ორიენტირებულნი არიან მოკლევადიან წარმატებაზე, რომელიც როგორც წესი განპირობებულია პოლიტიკოსების, ლიდერების კერძო-ეგოისტური ინტერესით;
- პოლიტიკის პერსონალიზაცია, ლიდერზე განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატრონალისტურ- კლიენტელისტური კავშირები საქართველოს პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. გურგენიძე ვ.პ. პოლიტიკური კონსალტინგი - განახლების პერსპექტივა საქართველოში თბ. 2020.გვ.152

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები და მოცემულობა უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გამყარებას,ხელს უშლის პოლიტიკური სტაბილურობის გამყარებას, და ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაციის პროცესს, ძირს უთხრის პარტიულ სისტემის პროგრესულ განვითარებას და განაპირობებს პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაციის სისუსტეს საქართველოში, მენეჯმენტის სუბიექტების საქმიანობაში და კერძოდ პოლიტიკური მენეჯერების კონსულტირების სფეროში.

მკვლევარი გ.მელიქიძე თავის ნაშრომი გამოყოფს საქართველოში მოქმედი პოლიტიკური კონსულტანტების ტიპებს და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური კონსულტირების განვითარება დაკავშირებული იყო, სოციოლოგების საქმიანობასთან, რასაც მოჰყვა პოლიტიკური კონსულტირების პროფილის მქონე ცენტრის ჩამოყალიბება. საწყის ეტაპზე პოლიტიკური კონსულტირების კომპეტენცია არ იყო მკვეთრად გამიჯნული, თუმცა მომდევნო ეტაპზე აღნიშნული პრობლემა მოგვარდა. (იხ.;მელიქიძე. პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში. თბ:.2017, გვ.160). ავტორი გამოყოფს კონსულტანტების შემდეგ ტიპებს: სოციოლოგები, მოწვეული კონსულტანტები, politicos-მრჩეველი და ,,სტრატეგი", ხოლო საარჩევნო კამპანიის პერიოდში კონსულტირების ტიპები ავტორს წარმოდგენილი აქვს შედარებით განსხვავებულად: ინდივიდუალური-მენეჯერები; ინდივიდუალური კონსულტანტი;

გლობალური პოლიტიკის კონსულტატები; ლოკალური პოლიტიკის კონსულტანტები, ლოკალური კამპანიების მენეჯერ-კონსულტანტები და გლობალური კომპანიების კონსულტანტები (იხ: იქვე, გვ.163).

დასკვნა

ამგვარად, გასული საუკუნის 90 წლებიდან , როდესაც ხორციელდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია და საქართველოს პოლიტიკური სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები, თანდათანობით განვითარდა პლურალისტური ურთიერთობანი, ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემა გაჩნდა დიდი მოთხოვნა პოლიტიკური კონსალტინგის მაქსიმალურად გამოყენების და მისი სწრაფი განვითარებისა. პოლიტიკური კონსალტინგი მყარად დამკვიდრდა ქვეყნის პოლიტიკურ ტექნოლოგიებში. იგი მოიცავს პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო სფეროს და განსაკუთრებით კი წინა საარჩევნო კომპანიების დაგეგმარების პროცესში.

პოლიტიკური კონსალტინგის ელემენტებს წარმოადგენს:

- პოლიტიკური მოღვაწეობის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა;
- პროფესიონალი გუნდების ჩამოყალიბება პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ტრენინგი;
- პოლიტიკური ლიდერების იმიჯის ამაღლება და პოპულარიზაცია;
- სხვადასხვა დონის სახელმწიფო, პარტიული, სოციალური ჯგუფის ლიდერების,მოღვაწეების, და ხელმძღვანელების პოლიტიკური კონსულტირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურგენიძე ვ.პ. პოლიტიკური კონსალტინგი
- განვითარების პერსპექტივა საქართველოში თბ.,2020

2. გურგენიძე ვ.პ. პოლიტიკური სისტემა თბ.,2017

3. გურგენიძე ვ.პ. საჯარო-პოლიტიკური მმართველობის თეორია და პრაქტიკა. თბ., 2014

4. მელიქიძე გ. პოლიტიკური კონსულტირება საქართველოში თბ.,2017.

5. International Association of political consultantsI RL: http://www.iapc.org (მიმართვის თარიღი 22.09,2024)

6.პოლიტიკური მრჩეველთ ა ერიკული ასოციაცია. American Association of political consultants URL: https://theaapc.org/ (მიმართვის თარიღი 22.09,2024)

7. European Association of political consultants URL: https://www.eapc.eu/ (მიმართვის თარიღი 22.09,2024)

8. Asociación Latinoamericana de consultores políticos URL : https://alacop.net (მიმართვის თარიღი 22.09,2024)

9. Jean Blondel, Jean-Louis Thiebault, Political Leadership, Parties and Citizens.The personalisation of leadership. Routledge, retrived 2019 january 29. მიმართვის თარიღი 29.01.2019

10. Bowler, Sh and Farrell, D (2010) the internationalization of campaign Consultancy. Campaign Warriors: Political Consultants in Elections. Edited by James A. Thurber and Candice J. Nelson. Washington, DC: Brookings. 216p. 42.95cloth,42.95cloth,17.95 paper. http://eedar.wwu.edu.politicalsciencefacpubs/5/

11. Broers Laurence After the 'revolution': civil society and the challenges of consolidating democracy in Georgia. Vol.24,No.3, pp.333-350, Retrieved 10 february 20152005, Central Asian Survey http://eedar.wwu.edu.politicalsciencefacpubs/5/

12. Dalton, Russell J. and Wattenberg, Martin P. Parties Without Partisans,Political Change in Advanced Industrial Democracies. https://www.semanticscholar.org/paper/Parties-without-partisans-%3A-political-change-in-Dalton-Wattenberg/d00e21fcf1ed792a116e951bcc99ac962c12bd77

13. Dobs, M. (2015) U.S. Advice Guided Milosevic Opposition, political consultants helped yugoslava position topple authoritarian leaders (2018)

14. Берёзкина О.П. политический консалтинг. Учебник. Третье издание. Москва 2012 год

15. Новиков Д.В. Политическое консультированиеЮ Учебное пособие. Комсомолы. 2016.

16. Богданова О.В. Политический консалтинг; функции, черты и сущность. Москва 2018.

17. Забурдяева Е.В. Политической консультирование в США и России. Учебное пособие. Москва . Проспект. 2019

18Политическая Консультирование. подред. Егоровой - ГартманБ И. Минтусова. Москва. Центр политического консультирования. "Николо" М 2019